


საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახარაძე კონსტანტინე (კოკი) მიხეილის ძე



კ. მ. მახარაძე

მახარაძე კონსტანტინე (კოკი) მიხეილის ძე (7. XII. 1929, ოჩამჩირე, - 6. I. 1992, თბილისი), მხატვარი. საქართველოს სახ. მხატვარი (1980). სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1947-53), იქვე (1960-92) ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1973-იდან პროფესორი). იყო უ. ჯაფარიძის მოწაფე. მ-ის

შემოქმედებას ახასიათებს გამოსახულების მონუმენტალიზაციის ტენდენცია - იქნება ეს ისტ. წარსული თუ თანამედროვე რეალობა. რეალისტური ხელოვნების ტრადიციით შესრულებული მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში“ (1952), რ-იც ისტ.-ბატალურ ჟანრს მიეკუთვნება. იმავე ჟანრს განეკუთვნება სურათი „ასპინძის ბრძოლა“ (1961, ორივე თბილ. სამხატვრო აკადემია). 1967 მხატვარმა შექმნა ალეგორიული ხასიათის დიდი ტილო - „მინა ქართული“, რ-იც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ პანოს საქართველოში. ასევე ალეგორიულია სურათი „თეთრი ხარი“ (1969, ორივე შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი). მ-ის ძირითად ნამუშევართა შორის აღსანიშნავია სერია „იტალია“ (1976), „ბაკურიანი“ (1981), „გველის მომთვინიერებელი“



კ. მ. მ ა ხ ა რ ა ძ ე.
"თეთრი ხარი".
1969. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

(1982), „ინდოეთი.

კაჯურახო“ (1983), „დიდგორი“ (1985), „ამაღლება“ (1987), „ცეცხლითა და მახვილით“ (1988), სერია „ძველი თბილისი“ (1989). მ. ნაყოფიერად მუშაობდა გრაფიკის, მ. შ. წიგნის გაფორმების დარგში. მისი გაფორმებულია ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, ი. აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი“ და სხვ. 1953-იდან მონაწილეობდა სხვადასხვა სამხატვრო, მ. შ. თბილ. ტრადიციულ საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებში; მისი ნამუშევრები გამოიფინა მოსკოვში, მანჩუსის საგამოფენო დარბაზში (1980), დელიში, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (1983), სტოკჰოლმის მერიაში (საქართვე. კულტურის დღეები, შვედეთში, 1988), ნიუ-იორკში, ჰოვსტრას უნ-ტში. მ-ის ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. და კიევის ხელოვნების მუზეუმებში, დ. შევარდნაძის სახ. საქართვე. ეროვნ. და ტრეტიაკოვის სახელმწ. (მოსკოვი) გალერეებში, თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში, კერძო კოლექციებში.



კ. მ. მ ა ხ ა რ ა ძ ე.
"ვენეცია". სერიიდან
"იტალია". 1976.

თ. გერსამია
